ონის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ბრძანება:**ბ78.7822147001**

თარიღი:**27/05/2022**

ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში, ქ.ონში, ჩაჩაშვილის ქუჩა N99 -ში (ს/კ 88.18.28.074), მდებარე უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, სს საჩხერის რაიონული საავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანებისათვის (ს/კ 239403463) გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"ს 54- ე მუხლის პირველი პუნქტის „დ" და „დ.ა" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, 122 - ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტის, ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის N14 განკარგულების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. გადაეცეს, სს საჩხერის რაიონული საავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანებას (ს/კ 239403463),ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში, ქ.ონში, ჩაჩაშვილის ქუჩაN99-ში (ს/კ 88.18.28.074), მდებარე უძრავი ქონება, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ, 2 წლის ვადით შემდეგი პირობით:

მოსარგებლე განახორციელებს და უზრუნველყოფს ონის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის იმ სამედიცინო სერვისებს (საჭიროების შემთხვევაში ტრანსპორტირებას მოახდენს საჩხერის რაიონული საავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანებაში), რაც ხელმოსაწვდომი არ არის ონის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის.

2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ამბროლაურის სასამართლოში(მის: ქ. ამბროლაური, დ.აღმაშენებლის ქ. N13) მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

გიორგი ნოდარიშვილი

ონის მუნიციპალიტეტის მერია-მერი (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N14

2022 წლის 19 მაისი
ქ. ონი

ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ონში, ჩაჩაშვილის ქ. N99-ში (ს/კ 88.18.28.074) მდებარე უძრავი ქონების სს საჩხერის რაიონული საავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანებისთვის (ს/კ 239403463) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების და 122-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად, ონის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. მიეცეს თანხმობა ონის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოს: ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ონში, ჩაჩაშვილის ქ. N99-ში (ს/კ 88.18.28.074) მდებარე უძრავი ქონების სს საჩხერის რაიონული საავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანებისთვის (ს/კ 239403463) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით 2 წლის ვადით უსასყიდლოდ გადაცემაზე შემდეგი პირობით. მოსარგებლე განახორციელებს და უზრუნველყოფს ონის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის იმ სამედიცინო სერვისებს (საჭიროების შემთხვევაში ტრანსპორტირებას მოახდენს საჩხერის რაიონული საავადმყოფო-პოლიკლინიკურ გაერთიანებაში), რაც ხელშისაწვდომი არ არის ონის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის.

2. განკარგულება ძალაშია მიღებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ზაზანა მარკოიშვილი